

## **უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს მინიჭებული აქვს სამართლებრივი უფლება, საკუთრებაში ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის და ღირებულების ესა თუ ის ქონება, რომელიც არ არის ამოღებული კანონიერი ბრუნვიდან. კანონი ითვალისწინებს საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა საფუძველს, რომელთაგან ერთ-ერთს, წარმოადგენს მემკვიდრეობა. იგი უძველესი ინსტიტუტია და წარმოიშვა საკუთრებასთან ერთად. ამას ადასტურებს ძველი შუმერული და ეგვიპტური წყაროები [4, 95-99];...[5, 148-154]; [9]; [10]; [11]. მემკვიდრეობის ინსტიტუტი თანდათან განვითარდა და დაიხვეწა. მმეტად განვითარებული სახით იგი ჩამოყალიბდა რომის კერძო სამართალში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს კანონებში, რომლის დებულებები საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს არა მხოლოდ მემკვიდრეობით, არამედ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტებსაც. “საქართველოში მოხდა ბერძნულ-რომაული სამართლის რეცეპცია” [3, 69] ”ქართული სამართალი მკვიდრდებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის სისტემაში”, მაგრამ ”ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ყალიბდებოდა, როგორც ეროვნული სამართალი” [3, 63].

საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება (საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება) [7, მუხლი 21-ე] რეგულირდება მრავალი კანონით, ძირითადი მარეგულირებელი ნორმები კი თავმოყრილია სამოქალაქო სამართლის კოდექსში, კერძოდ კოდექსის ცალკე თავში “მემკვიდრეობის სამართალი”, წიგნი მეექვსე, მუხლები 1306-1503.

მემკვიდრეობის ქვეშ იგულისხმება გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების (სამკვიდროს) გადასვლა სხვა პირზე (მემკვიდრეზე). სამკვიდროს მიღებით მემკვიდრე გახდება ამ ქონების მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის დროიდან და მასზე გადავა ყველა ის ქონებრივი უფლება (აქტივი) და მოვალეობა (პასივი), რომლებიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში წარმოემვა, გარდა ამ უკანასკნელის პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობებისა, აგრეთვე იმ უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე მოქმედებს მხოლოდ კრედიტორ-მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი გარდაცვალებისას. მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლებებიც და მოვალეობებიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნან მემკვიდრეებად, ესენი არიან ე.წ. მემკვიდრეები კანონით და მემკვიდრეები ანდერძით. ჩვენი სამოქალაქო კოდექსი კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს წარმოგვიდგენს და ისინი მემკვიდრეებად მოიწვევიან მაშინ, როცა არ არსებობენ ანდერძით მემკვიდრეები. ანდერძის არსებობის შემთხვევაში კი, მოიწვევიან ანდერძისმიერი მემკვიდრეები.

ფაქტი, რომელიც სამკვიდროს მიღების უფლებას წარმოშობს, არის პირის (მამკვიდრებლის) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება და ამ ფაქტს კანონი უწოდებს სამკვიდროს გახსნას. პირის გარდაცვალების ან მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე, ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ. მაგრამ, მემკვიდრედ გახდომა, მითითებულ ფაქტთან ერთად, დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არ პირი მამკვიდრებლის ქონებას. ე.ი. პირი მემკვიდრე გახდება სამკვიდროს მიღების

შემთხვევაში და პირიქით, თუ იგი არ მიიღებს სამკვიდროს, შესაბამისად, კარგავს მემკვიდრეობის უფლებასაც. მემკვიდრეობის მიღება ან მასზე უარის თქმა დამოკიდებულია პირის ნებაზე, იგი არის პირის უფლება და არა ვალდებულება(აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას იმ სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც კანონით დაწესებული წესით მასზე გადავა) და ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს მემკვიდრე თავის ამ უფლებას, რადგანაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება სამკვიდროს მიღებას ან მის მიღებაზე უარს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს როგორც სამკვიდროს მიღების, ასევე მასზე უარის თქმის წესსა და პირობებს. კერძოდ: როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრეს, როგორც კანონით, ასევე ანდერძით, სამკვიდროზე უარის თქმის უფლება აქვს და ამასთან არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მიზეზზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რადგანაც, თუ პირი უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ეს უფლება გადადის სხვა პირზე (პირებზე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უარის თქმა დაიშვება, როგორც სხვა მემკვიდრის, ისე არავის სასარგებლოდ.

თუ პირს სურს უარი განაცხადოს თავის სამკვიდრო წილზე, მან უნდა მიმართოს ნოტარიუსს კანონით დაწესებულ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილ ვადაში, რომელიც შეადგენს სამ თვეს, და ეს ვადა გამოითვლება არა სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მემკვიდრედ თავისი მოწვევის შესახებ. გაშვებული ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. მას შემდეგ, როცა ნოტარიუსი რეაგირებას მოახდენს აღნიშნულ განცხადებაზე და განახორციელებს შესაბამის სანოტარო მოქმედებას, კანონით პირს უფლება აღარ აქვს გადათქვას თავისი უარი ან შეცვალოს იგი. ასევე, თუ მემკვიდრე მიმართავს ნოტარიუსს განცხადებით სამკვიდროს ან სამკვიდრო მოწმობის მიღების თაობაზე, ამის შემდეგ მასაც აღარ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე.

როგორც აღინიშნა, თუ მემკვიდრე მიიღებს სამკვიდროს, შემდეგ მას მასზე უარის თქმის უფლება აღარ აქვს, მაგრამ იმ მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, კანონი ანიჭებს უფლებას, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. ასეთი სურვილის შემთხვევაში მემკვიდრემ უნდა მიმართოს განცხადებით ნოტარიუსს იმ ვადაში, რაც კანონით გათვალისწინებულია სამკვიდროს მისაღებად (ე.ი.სამკვიდროს გახსნიდან ექვს თვეში).

განცხადება სანოტარო ბიუროში სამკვიდროზე უარის თქმის თაობაზე შეუძლია წარადგინოს როგორც თავად მემკვიდრემ, ასევე მისმა წარმომადგენელმაც, რომელსაც მინდობილობაში სპეციალურად უნდა ჰქონდეს მითითებული ამ უფლებამოსილების შესახებ.

კანონი სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლებას, ამისათვის სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ანიჭებს ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებსაც.

სამკვიდროზე უარის თქმის უფლება გადადის მემკვიდრეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ მემკვიდრე გარდაიცვალა და ვერ მოასწრო უარის თქმა კანონით დადგენილ ვადაში, სამკვიდროზე უარის თქმა, ასეთის სურვილის არსებობისას, შეუძლიათ მის მემკვიდრეებს დარჩენილი დროის განმავლობაში, მაგრამ თითოეულ მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას თავის წილ სამკვიდროზე.

მემკვიდრემ სამკვიდრო უნდა მიიღოს მთლიანად ან უარი უნდა თქვას მთლიან სამკვიდროზე. არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით, რაიმე პირობით ან ვადით. მემკვიდრის ასეთ მოქმედებას კანონი თვლის სამკვიდროზე უარის თქმად; კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროდან გარკვეულ წილზე და ეს არ ჩაეთვლება მას უარის თქმად სამკვიდროს ნაწილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ასეთი უარი მიღებულ იქნება. კერძოდ, კოდექსის 1436-ე მუხლის შესაბამისად, იმ მემკვიდრეს, რომელიც არ ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე.

შეიძლება მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძვლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნოდეს. კოდექსის 1437-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს მიიღოს ერთი წილი და სხვაზე თქვას უარი, ან შეუძლია უარი თქვას ყველაზე. (მაგ. თუ პირი ერთსა და იმავე დროს არის ანდერძისმიერი მემკვიდრეც და კანონისმიერიც, ან სახეზეა მემკვიდრეობითი ტრანსმისია ან მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით და სამკვიდროც გაიხსნა, ან პირი არის ანდერძისმიერი მემკვიდრეც და საანდერძო დანაკისრის მიმღებიც და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს ყველა სამკვიდრო წილი, ან მიიღოს ერთი, ან - იმდენი, რამდენიც მისი ნებაა, ან უარი თქვას ყველაზე. თანახმად 1438-ე მუხლისა, მემკვიდრეს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას იმ წილზე, რომელიც მას შემოემატა სხვა მემკვიდრის მიერ თავის სამკვიდრო წილზე უარის თქმის გამო და მიიღოს სხვა სამკვიდრო წილი.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება, როგორც უკვე ითქვა, აქვთ კანონისმიერ მემკვიდრესაც და ანდერძისმიერ მემკვიდრესაც. მათ მიერ სამკვიდროზე უარი შეიძლება ითქვას სხვა მემკვიდრის ან მემკვიდრეების (კანონისმიერის თუ ანდერძისმიერის) სასარგებლოდ, ან საერთოდ - არავის სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონისმიერ მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის (მემკვიდრეების), ასევე ნებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ, ე.ი. არ არის სავალდებულო უარი აუცილებლად თანამემკვიდრის სასარგებლოდ ითქვას. ანდერძისმიერ მემკვიდრესაც აქვს ასევე უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, როგორც ანდერძით მემკვიდრის (მემკვიდრეების), ასევე ნებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ. დასაშვებია, ასევე, რამდენიმე მემკვიდრემ უარი განაცხადოს თავიანთ წილ სამკვიდროზე ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რომელი კატეგორიის მემკვიდრე განაცხადებს უარს სამკვიდროს მიღებაზე, როგორია ამ უარის შინაარსი, კერძოდ, გაკეთებულია იგი ვინმეს სასარგებლოდ, თუ - არა; თუ უარი ითქვა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ვინ არის ეს უკანასკნელი, კანონით მემკვიდრე, თუ - ანდერძით; ერთი პირის სასარგებლოდ ითქვა უარი, თუ - რამდენიმეს; თუ რამდენიმეს სასარგებლოდ ითქვა უარი სამკვიდროზე, მემკვიდრემ წინასწარ განსაზღვრა თითოეულის წილი, თუ - არა და ა.შ. ამდენად, როგორც ვხედავთ, მემკვიდრის (მემკვიდრეების) უარი სამკვიდროზე შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით, რაზედაც დამოკიდებულია კიდევ მისი სამართლებრივი შედეგი. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას მოჰყვება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. ეს შედეგები კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის მემკვიდრე აცხადებს უარს სამკვიდროზე, აგრეთვე დამოკიდებულია თვით ამ უარის ფორმასა და შინაარსზე.

სამკვიდროს მიღებაზე კანონით მემკვიდრის უარს შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი, კერძოდ:

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის თავის წილ სამკვიდროზე სხვა კანონით მემკვიდრის თუ ანდერძისმიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, მათ სამკვიდრო წილს შეემატება ის წილი მთლიანად, რომელიც უარის მთქმელ მემკვიდრეს ეკუთვნოდა სამკვიდროს მიღების შემთხვევაში;

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის თავის წილ სამკვიდროზე რამდენიმე მემკვიდრის (კანონისმიერის თუ ანდერძისმიერის) სასარგებლოდ და წინასწარ განსაზღვრავს თითოეულის წილს, შესაბამისად, ყველა მემკვიდრე აღნიშნული ქონებიდან მიიღებს მათთვის განსაზღვრულ წილს;

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის თავის წილ სამკვიდროზე არა ერთი, არამედ რამდენიმე მემკვიდრის (კანონისმიერის თუ ანდერძისმიერის) სასარგებლოდ და არ განსაზღვრავს

თითოეულისათვის წილს, მაშინ მისი წილი თანაბრად გადანაწილდება იმ მემკვიდრეებს შორის, ვის სასარგებლოდაც ითქვა უარი;

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე იმ რიგის კანონით მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელიც არ იყო მოწვეული მემკვიდრედ, მაშინ ამ წილს მიიღებს დასახელებული მემკვიდრე;

თუ უარი ითქვა მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთა წილიც ანდერძით ერთნაირი არ არის, და არც უარის თქმისას განისაზღვრა მათი წილი, მაშინ მიუღებელი წილი განაწილდება მათ შორის თითოეულის წილის პროპორციულად;

თუ კანონით მემკვიდრე არც ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ იტყვის უარს სამკვიდროზე, ასეთ შემთხვევაში, მისი წილი შეემატება იმ კანონით მემკვიდრეს, რომელიც რიგითობის მიხედვით მოწვეულია მემკვიდრედ, ხოლო, თუ ისინი რამდენიმეა, წილი მათ შორის თანაბრად გადანაწილდება;

ბებიას ან პაპას, შეუძლიათ უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე შვილიშვილის სასარგებლოდ, თუ ეს უკანასკნელი იქნება ანდერძით ან კანონით მემკვიდრე (ე.ი. სამკვიდროს გახსნის დროისათვის მისი მშობელი იყო გარდაცვლილი, თუ მშობელს სიცოცხლეში ნათქვამი არ ჰქონდა უარი სამკვიდროზე); თუ უარი ითქვა რამდენიმე შვილიშვილის სასარგებლოდ, მაშინ ბებიას და პაპას შეუძლიათ განსაზღვრონ თითოეულის წილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის წილი გადანაწილდება თანაბრად;

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კარგავენ სამკვიდროს მიღების უფლებას წარმომადგენლობის წესით, თუ მათმა გარდაცვლილმა მშობელმა სიცოცხლეში უარი თქვა სამკვიდროზე. ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილი მშობლის წილი შეემატება სხვა პირველი რიგის მემკვიდრეს. თუ ისინი რამდენიმეა, წილი მათ შორის გადანაწილდება თანაბრად. პირველი რიგის მემკვიდრის არყოფნის შემთხვევაში მემკვიდრედ მოწვეულ იქნებიან და წილი შეემატება მეორე რიგის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს), ხოლო ამ უკანასკნელთა არყოფნის შემთხვევაში - მომდევნო რიგის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) და ა.შ.;

თუ კანონისმიერი მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ გარდაცვალებამდე უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე კანონით დადგენილი წესით, მაშინ მის მემკვიდრეებს ეკარგებათ სამკვიდროს მიღების უფლება ტრანსმისიის წესით. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი მემკვიდრის წილი შეემატება მასთან ერთად მოწვეულ სხვა მემკვიდრეებს, ასეთების ყოფნის შემთხვევაში.

სამკვიდროს მიღებაზე ანდერძით მემკვიდრის უარს მოჰკვება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი, კერძოდ:

თუ მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით ერთ ან რამდენიმე პირს დაუტოვა, მაშინ კანონით მემკვიდრეები კარგავენ ამ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას და შესაბამისად გაიხსნება ანდერძით მემკვიდრეობა. თუ მითითებული ანდერძისმიერი მემკვიდრეები (თუ ერთია - ის ერთი, ან თუ რამდენიმეა - ყველა), არავის სასარგებლოდ განაცხადებენ უარს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მემკვიდრეებად მოწვეულ იქნებიან კანონისმიერი მემკვიდრეები რიგითობის შესაბამისად და წილი მათ შორის თანაბრად გადანაწილდება, თუ ეს უკანასკნელნი რამდენიმეა. ხოლო, თუ ერთია - მიიღებს ის ერთი მთლიანად.

თუ მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით ერთ ან რამდენიმე პირს დაუტოვა და ის, თუ ერთია - იმ ერთს, ან, თუ რამდენიმეა - ყველას, რამდენიმე კანონით მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე ერთი კანონით მემკვიდრის სასარგებლოდ, და მაშინ მემკვიდრედ მხოლოდ ეს უკანასკნელი მოიწვევა და ის მიიღებს სამკვიდროს. ასევე შეიძლება ითქვას უარი სამკვიდროზე ორი ან მეტი ნებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის

სასარგებლოდ და შესაბამისად, ეს უკანასკნელნი მოიწვევიან მემკვიდრეებად და მიიღებენ სამკვიდროს. თუ უარის გაცხადებისას განისაზღვრა წინასწარ თითოეულის წილი, შესაბამისად გადანაწილდება კიდევ სამკვიდრო წილი იმ მემკვიდრეებს შორის, რომელთა სასარგებლოდაც ითქვა უარი;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და სამკვიდროზე უარს ამბობს მათ შორის ერთი, ან - რამდენიმე და არა ყველა, მათი წილი სამკვიდრო ქონება თანაბარწილად გადანაწილდება და შეემატება იმ ანდერძით მემკვიდრეებს, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და მათი წილი სამკვიდრო ქონებაზე არათანაბარია, ის წილი სამკვიდროდან, რომელზედაც უარს იტყვის ერთი, ან რამდენიმე - და არა ყველა, გადანაწილდება იმ ანდერძისმიერ მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე, მათი წილის პროპორციულად, თუ არ იქნება სხვანაირი მითითება ანდერძში;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და მათი წილი სამკვიდრო ქონებაზე თანაბარია, ან თუნდაც არათანაბარია, და ისინი, ერთი, რამდენიმე და არა ყველა, მასზე იტყვიან უარს სხვა რამდენიმე ანდერძით მემკვიდრის სასარგებლოდ, მათ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ თითოეულის წილი, რის შესაბამისადაც გადანაწილდება კიდევ სამკვიდრო წილი იმ ანდერძით მემკვიდრეთა შორის, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე;

კოდექსის 1355-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ ანდერძი მთელ სამკვიდრო ქონებას არ მოიცავს, ე.ი. გახსნილია, როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრეობა და შესაბამისად, არსებობენ, როგორც კანონით მემკვიდრეები, ასევე - ანდერძით და თუ ეს უკანასკნელნი არიან რამდენიმე, ერთ-ერთის უარის თქმა სამკვიდრო წილზე არ გამოიწვევს ამ წილის გადასვლას კანონით მემკვიდრეებზე, არამედ იგი შეემატება დანარჩენ ანდერძით მემკვიდრეებს;

თუ მოანდერძის მიერ ანდერძში დასახელებული იქნება სათადარიგო მემკვიდრე, მაშინ ანდერძით მემკვიდრის (მემკვიდრეების) უარი სამკვიდროს მიღებაზე წარმოშობს სამკვიდროს მიღების უფლებას მხოლოდ სათადარიგო მემკვიდრისათვის;

სათადარიგო მემკვიდრის სამკვიდროზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნულ წილს მიიღებენ მამკვიდრებლის კანონისმიერი მემკვიდრეები;

თუ სამკვიდროს მიღებაზე უარს განაცხადებს ის ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელსაც ანდერძით საანდერძო დანაკისრის შესრულება დაეკისრა, მაშინ იმ მემკვიდრეს, რომელმაც მიიღო ამ უკანასკნელის წილი, დაეკისრება საანდერძო დანაკისრის შესრულებაც;

თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს განაცხადებს ლეგატის მიღებაზე, ასეთ შემთხვევაში, ის მემკვიდრე, რომელსაც ევალებოდა დანაკისრის შესრულება თავისუფლდება მისგან და წილი, რომელიც გათვალისწინებული იყო ლეგატით, გადავა მასზე;

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს, კანონით დაწესებულ ვადაში, უფლება აქვს მიიღოს სავალდებულო სამკვიდრო ან უარი თქვას მასზე. ასეთ მემკვიდრეს კანონით არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ და უარის თქმის შემთხვევაში მისი სამკვიდრო წილი შეემატება ანდერძისმიერ მემკვიდრეს (მემკვიდრეებს), თუნდაც არსებობდნენ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე სხვა მემკვიდრეებიც;

თუ პირი ერთსა და იმავე დროს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონეა და ამასთანავე, საანდერძო დანაკისრისაც, მაშინ მან, თუ სურს მიიღოს სავალდებულო წილი მთლიანად, უარი უნდა თქვას საანდერძო დანაკისრზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მიიღებს სავალდებულო წილს იმ ღირებულების გამოკლებით, რასაც მოიცავს საანდერძო დანაკისრი;

პირს (ტრანსმისარს), რომელზედაც სამკვიდრო ქონებაზე უფლება გადავიდა მემკვიდრეობითი ტრანსმისიით, შეუძლია უარი თქვას ამ ქონებაზე და მას მიიღებენ გარდაცვლილის (ტრანსმიტენტის) თანამემკვიდრეები. ტრანსმისარს ამასთან უნარჩუნდება უფლება, მიიღოს მემკვიდრეობა საერთო საფუძვლით;

თუ ტრანსმისარი მიიღებს ქონებას მემკვიდრეობითი ტრანსმისიით და უარს იტყვის მამკვიდრებელი-ტრანსმიტენტის უშუალო სამკვიდრო ქონებაზე, ასეთ შემთხვევაში ამ სამკვიდრო ქონებას მიიღებენ ტრანსმიტენტის მემკვიდრეები;

პირს, რომელმაც წარმომადგენლობის წესით უნდა მიიღოს მემკვიდრეობა, შეუძლია უარი განაცხადოს მასზე. ამ წილის მიღების უფლება გადავა მის თანამემკვიდრეებზე, ასეთების არყოფნის შემთხვევაში კი, მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე და ა.შ.

ანდერძი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ერთადერთი მემკვიდრე იტყვის უარს სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეებად მოიწვევიან კანონით მემკვიდრეები, ასეთების არსებობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონება გამოცხადდება უმკვიდროდ და გადაეცემა ხაზინას;

თუ კანონით მემკვიდრე ერთადერთია თავის რიგში და უარს აცხადებს სამკვიდრო წილზე, მაგრამ არა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, მაშინ მისი წილი გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეზე (მემკვიდრეებზე), მათი არ არსებობის შემთხვევაში -შემდეგი რიგის მემკვიდრეზე და ა.შ. ხოლო, თუ არ არსებობენ მომდევნო რიგის მემკვიდრეები, ან ყველა მათგანი განაცხადებს უარს, სამკვიდრო გადავა ხაზინაზე, რომელსაც უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე;

კანონი კრძალავს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას იმ მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ, რომელიც:

სასამართლოს მიერ ცნობილია უღირს მემკვიდრედ;

იმ პირის (პირების) სასარგებლოდ, რომელსაც მოანდერძემ ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვა;

ანდერძით მემკვიდრე უარს ვერ იტყვის სამკვიდროს მიღებაზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, თუ მოანდერძეს ანდერძში დასახელებული ჰყავს სათადარიგო მემკვიდრე;

ანდერძით მემკვიდრეს არ შეუძლია აგრეთვე უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე არამემკვიდრის მემკვიდრედ დანიშნული პირის სასარგებლოდ;

ბებია და პაპა ვერ იტყვიან უარს შვილიშვილის სასარგებლოდ. კანონი ამას უშვებს იმ შემთხვევაში, თუ შვილიშვილი არის ანდერძით მემკვიდრე, ან კანონით მემკვიდრე (ე.ი. სამკვიდროს გახსნის დროისათვის მისი მშობელი გარდაცვლილი იყო, თუ მშობელს სიცოცხლეში ნათქვამი არ ჰქონდა უარი სამკვიდროზე);

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს უფლება არა აქვს უარი თქვას სავალდებულო წილზე თავისი თანამემკვიდრის სასარგებლოდ;

საანდერძო დანაკისრის მიღების უფლების მქონეს შეუძლია უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე, მაგრამ არა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ;

სამკვიდროზე უარის თქმის ნამდვილობა შეიძლება სადაო გახდეს მხარეთა მიერ. კანონი აწესებს შეღავებისათვის ორი თვის ვადას, რომელიც იანგარიშება მათ მიერ საფუძვლის არსებობის შეტყობიდან. სამკვიდროზე უარის თქმა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი გარიგების თაობაზე.

ამრიგად, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას მოჰყვება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. ეს შედეგები კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის მემკვიდრე აცხადებს უარს სამკვიდროზე, აგრეთვე დამოკიდებულია თვით ამ უარის ფორმასა და შინაარსზე.

და ბოლოს, წინამდებარე სტატია არის მოკრძალებული მცდელობა ცოტათი განსხვავებული კუთხით წარმოჩენა მემკვიდრის მიერ თავის წილ სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმის შესაძლო შემთხვევებისა და, აქედან გამომდინარე, მისი სამართლებრივი შედეგებისა, ვიდრე ეს არსებულ და მოქმედ კომენტარებში [1, 362-491] [2, 51-64] [6, 158-165] არსებობს, რომელთაც აბსოლუტურად ვიზიარებთ კიდევ.

#### Бგამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჭანტურია ლ. 1999. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი მეხუთე. თბილისი: სამართალი.
2. ახვლედიანი ზ. 1997. *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: სამართალი.
3. ზოიძე ბ. 2000. *ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი*. თბილისი: უფლება.
4. მეტრეველი ვ. 1995. *რომის სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
5. ნადარეიშვილი გ. 2005. *რომის სამოქალაქო სამართალი*. თბილისი: ბონა კაუზა.
6. შენგელია ე., შენგელია რ. 2007. *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
7. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. *კანონმდებლობა*. [www.parliament-ge\(01.12.20011\)](http://www.parliament-ge(01.12.20011)
8. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. *კანონმდებლობა*, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) (01.12.2011)
9. Косарев.А.И. 2007. *Римское частное право*. Учебник. Москва: юриспруденция,
10. Мосин О.В. *изучение особенностей наследования хранения и раздела отдельных видов имущества в Российской гражданском праве*. [www.samlib.ru](http://www.samlib.ru) 01.12.2011
11. Новицкий И. Римское право. Гл. III, §3. Виморочное наследство. [www.pravo.vuzlib.net](http://www.pravo.vuzlib.net) 01.12.2011

*Dalila Gogodze*  
*Grigol Robakidze University*

## **Renunciation of an Inheritance and Its Legal Consequences According to the Civil Code of Georgia**

### **Summary**

According to the article 1434 of the Civil Code of Georgia an heir has the right to renounce his/her part of the inheritance. The law indicates on the determined order and conditions of the renunciation of the inheritance. First, it is time period for renunciation. An heir may renounce the inheritance within three months from the day he learned, or ought to have learned, of his invitation to accept the inheritance. If legitimate reasons exist, a court may extend this period, though not for more than two months (article 1434 of the Civil Code of Georgia). The mentioned article stipulates that the renunciation of the inheritance shall be declared at a notary office where this renunciation shall be authenticated in accordance with the appropriate order. When a notary reacts on the mentioned declaration and conducts the appropriate notary action, by the law a person does not have the right to renounce or to change it. "An heir's declaration of renunciation of inheritance is irrevocable" (article 1446 of the Civil Code). As well, if an heir has filed a petition to accept either the inheritance or a title deed to the inheritance with a notary office, after this he/she has no right to renounce the inheritance (article 1445 of the Civil Code).

A declaration of renunciation of an inheritance may be filed with a notary office either by an heir him/herself or by his/her agent if the mandate (power of attorney) specifically stipulates the authority to renounce (article 1449 of the Civil Code).

The law gives the right of renunciation of an inheritance to a legally incapable person or a person with limited legal capacity, but they shall appeal to court for the permission on it (article 1446 of the Civil Code).

If an heir has died before the lapse of the period of time prescribed for renunciation of the inheritance, instead of him/her, the heir of the deceased has the right to renounce his/her share of the inheritance, as by the law the right to renounce an inheritance is inheritable, in addition, if the deceased has several heirs, by the law, each of them may renounce only his/her share of the inheritance. In this case the period of time for renunciation of the inheritance shall not end until the time remaining after the death elapses (article 1448 of the Civil Code).

An heir must accept the entire inheritance or must renounce the entire inheritance. The law does not allow acceptance or renunciation of an inheritance partially by specifying some conditions or a time period. Such behavior of an heir is considered as renunciation of the inheritance (article 1435 of the Civil Code). According to the articles 1436-1438 an heir has the right to renounce the defined part of the inheritance and this shall not be considered to be renunciation of the inheritance. This means that his/her renunciation will be accepted. In particular, according to the article 1436 of the Civil Code, "an heir who is not engaged in agriculture may refuse to accept a tract of land, machinery and tools intended for agriculture or livestock, and such a refusal shall not be deemed to be renunciation of the inheritance". Maybe, an heir, for any reason, is entitled to several portions of an estate; in this case, based on the article 1437 of the Civil Code, he/she may accept one portion and renounce the other, or renounce all portions. For example, if at the same time a person is a testamentary and legal heir, or there is transmission of inheritance or the inheritance with the right of representation and an estate is opened, or a person is a testamentary heir and a legatee, etc., in this case an heir may accept all portions or accept one portion, or as many as he /she desires, or renounce all of them. In addition, in accordance with the Article 1438 of the Civil Code an heir has the right to renounce the portion added because of other heir's renunciation of his/her portion and accept other portion of an inheritance.

As mentioned above, if an heir accepts an inheritance, he/she does not have the right to renounce it afterwards, but the law gives the right of renunciation to an heir who came into de facto possession or administration of an inheritance. Wishing it, an heir must file a declaration with a notary office within the period of time prescribed for acceptance of the inheritance that is within six months from the day of the opening of the estate (article 1447 of the Civil Code).



An heir, testamentary or legal, has the right to renounce an inheritance without mentioning the reason. This moment is of great importance, because, if a person renounces an inheritance, then this right passes to another person(s). It must be mentioned that the state (treasury) may not renounce an estate passed to it (article 1444 of the Civil Code). The renunciation can be carried out in favor of another heir(s) (legal or testamentary) or in favor of nobody. It means that it is not obligatory to renounce in favour of a co-heir.

From the legal point of view, it is very important a heir of which category renounces an inheritance, what is the content of this renunciation, in particular, is it in somebody's favour or – not; if the renunciation is in favour of another heir, who this heir is, weather he/she is a testamentary heir or a legal heir; weather this renunciation is in favour of just one person or several persons; if it is made in favour of several persons, weather an heir determined a portion of each person, or he/she did not do so, etc. Therefore, as we see, an heir's (heirs') renunciation can be expressed in different forms and contents, what the legal result depends on. These results depend on the category of the heirs renouncing an inheritance and they also depend on the form and content of this renunciation. In particular:

If an heir renounces his/her inheritance without naming a person in whose favour he/she renounces, then his/her portion shall be added to the share of the heirs called to the estate; it does not matter weather the heirs are legal or testamentary (article 1440 of the Civil Code), but if an heir is the sole heir in his/her class of heirs, then inheritance of the estate shall devolve to the next class of heirs (article 1441 of the Civil Code).

If an heir renounces the inheritance in favour of several heirs, it does not matter weather the portion is specified by an heir for each of them or not. In the presence of such specification each heir shall receive a corresponding portion, otherwise, the portion in the inheritance shall be distributed in equal shares among them (article 1442 of the Civil Code).

The renunciation may be carried out in favour of those persons who are called to the estate in the order of representation or transmission. The renunciation is not allowed in favour of an heir who has been:

- declared by court an unworthy heir (article 1439 of the Civil Code);
- disinherited by explicit testamentary order (article 1439 of the Civil Code).

If an entire estate was divided by the will among several heirs, the renunciation in favour of a legal heir is not allowed, if all of them do not renounce the inheritance (article 1355 of the Civil Code).

An heir entitled to a forced portion may renounce it, but not in favour of another heir, in this case the renounced portion shall pass to the testamentary heirs (article 1380 of the Civil Code).

If a testator has designated in the will a substitute heir entitled, a testamentary heir does not have the right to renounce the inheritance in another heir's favour. If a substitute heir renounces, a portion of an inheritance passes to the legal heirs of a deceased person. If the heir who was bound to perform the legacy renounced the estate, then the obligation to perform the legacy shall be placed on the other heirs who received his portion (article 1388 of the Civil Code).

If a legatee renounces the legacy, the corresponding part of the estate shall remain with the heir who was bound to perform the legacy (articles 1394-1395 of the Civil Code).

If a person who is entitled to receive transmission of an inheritance (transmissar) renounces his/her right to the property, then the property shall pass to the heirs *co-heir* that were called to the inheritance together with the deceased heir (transmittant). The transmissar has the right to receive the estate on the common basis (article 1431 of the Civil Code).

If a transmissar receives transmission of an inheritance and renounces the transmitant's estate, in this case this inheritance shall pass to the transmitant's heirs (article 1431 of the Civil Code).

A person who receives the inheritance through an agent may renounce it. In this case the common principles of the renunciation of an inheritance are applied. The renunciation of an inheritance is a unilateral transaction that is regulated by the general norms of transactions of the Civil Code. Consequently, the renunciation of an inheritance, as all other transactions, may be contested by the parties. The law stipulates two months period of time which is counted from the day on which a person learned of the existence of the basis to do so (article 1450 of the Civil Code)